პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

2 აგვისტო, კვირა, 1987 წ.
№ 149 (9560) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## +1

ჭეშმარიტ სახალხო დღესასწაულად იქცა ახალი საჭიდაო სარბიელის გახსნა ქარელის რაიონის დაბა აგარაში. „მეშაქრის" სტადიონზე მწყობრში ჩადგა 500 ადგილიანი ქართული ჭიდაობის არენა. ახალმა სარბიელმა განსაკუთრებით ნორჩები გაახარა, ისინი, ვინც ხვალ და ზეგ ქართველ ფალავანთა სახელოვან ტრადიციებს გააგრძელებენ. (დაწვრილებით აგარაში გამართული ზეიმის შესახებ „ლელოს" უახლოეს ნომერში მოგითხრობთ).

ჯემალ კასრაძის ფოტო.



## ექსპრესინფორმაცია

**სინგაპურში** გაიმართა საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში. ასპარეზობის მონაწილეთა შორის იყო თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდიც, რომელმაც მეორე ადგილი დაიკავა.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელთან, საქართველოს სპორტსახკომის მთავარ მწვრთნელთან წყალბურთში ჯიმშერ თორთლაძესთან ინტერვიუს „ლელოს" უახლოეს ნომერში შემოგთავაზებთ.

VII

თვის მონაგარი

# თვალსაჩინო ნადავლი

**სპორტული** ივლისი საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო გამოდგა — გაიმართა საკავშირო ჩემპიონატები, საერთაშორისო შეჯიბრებები, რომელთაგან უმთავრესი იუგოსლავიის ქალაქ ზაგრებში ჩატარებული სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადა იყო. ჩვენც სწორედ უნივერსიადაზე ჩვენი სპორტსმენების გამოსვლით დავიწყებთ.

**ზაგრებში** საქართველოს წარმომადგენელთაგან ყველაზე უკეთესად თბილისელი ჩოგბურთელი ლეილა მესხი გამოვიდა. „კომსომოლსკაია პრავდა" წერდა, რომ ლეილა მესხი საბჭოთა სტუდენტური გუნდის ურყევი ლიდერიაო. მართლაც, მესხი სამივე თანრიგის ფინალში გავიდა და ორში (ერთეულთა და წყვილთა თანრიგში) ოქროს მედალი მოიპოვა, ამას მიემატა ვერცხლის მედალიც.

უნივერსიადიდან ორი მედლით დაგვიბრუნდა თბილისელი ეკა ზეთურიძე, რომელიც ტანმოვარჯიშეთა გუნდურ შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა, ღვირზე ვარჯიშში კი — ბრინჯაოს პრიზიორი.

ქართველმა სპორტსმენებმა კიდევ ორი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. გუნდურ პირველობაზე ხმლით ფარიკაობაში აკაკი მახარაძემ და ირაკლი გვარამაძემ მეორე ადგილები დაიკავეს.

უნივერსიადაზე ჯილდო კიდევ ერთმა ჩვენმა სპორტსმენმა, თბილისელმა გიორგი ჩოგოვაძემ მოიპოვა. გიორგიმ 10-მეტრიანი კოშკიდან წყალში ხტომაში მესამე ადგილი დაიკავა.

უნდა ითქვას, რომ ჩოგოვაძე წლეულს ძალზე სტაბილურად გამოდის — ყველა შეჯიბრებაზე მედალს ისაკუთრებს. მსოფლიო უნივერსიადის დამთავრების შემდეგ იგი დნეპროპეტროვსკში გამართულ ქვეყნის საზაფხულო ჩემპიონატში ჩაება და იქიდან ვერცხლის მედლით დაგვიბრუნდა. სამწუხაროდ, დაშავდა და უნივერსიადაზე ვერ გამოვიდა ჩვენი ტანმოვარჯიშე ვლადიმერ გოგოლაძე, რომელიც ოქროს მედლების მოპოვების აშკარა პრეტენდენტი იყო.

**წლეულს** სტაბილურად ასპარეზობს თბილისელი ნინო სალუქვაძეც. ივლისში იგი მოსკოვში გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის" პრიზზე გამართულ ტყვიის მსროლელთა საერთაშორისო შეჯიბრებაზე გამოვიდა. ასპარეზობაში, სადაც ათი ქვეყნის წარგზავნილები ცდიდნენ ძალას, ნინომ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით სროლაში ყველას აჯობა.

ივლისში ტალინში გაიმართა მესტენდურთა საკავშირო ჩემპიონატი, სადაც მრგვალ სტენდზე სროლაში შარშანდელმა ჩემპიონმა — საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

იხ. მე-3 გვ.

# გზა რომში მიდის...

ტურნირის ექო



**ბევრ** მძლეოსანს თავისი ასაკი მოკავშირედ ევლინება, მით უმეტეს ახლა, როდესაც სპორტში დიდ პატივშია ასაკობრივი ცენზები. თუ გაგიმართლა და მოხვდი ე. წ. „სასპარტაკიადო ასაკში", შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. ყოველ შემთხვევაში, სპარტაკიადამდე ყურადღება არ მოგაკლდება. თუ „მოხუცად" ჩაგთვალეს, ე. ი. 24-25 წლისა ხარ, მართლაც ციდან ვარსკვლავებს უნდა წყვეტდე, რომ ყურადღება და ხელის შეწყობა აღარ ინატრო.

თბილისელ[illegible] სპრინტე[illegible] ბეს[illegible] გოცირიძე სპორტსმენთა მეორე კატეგორიაში მოხვდა. როდესაც საყურადღებო შედეგებს მიაღწია, სპარტაკიადები მისთვის, ისევ ასაკის გამო, დამთავრებული იყო და მძლეოსანს აღიარებისაკენ უფრო ძნელად სავალი ბილიკი უნ-

იხ. მე-4 გვ.

სურათზე: ევგენი გაგუა (მარცხნივ) და ბესიკ გოცირიძე.

# მხოლოდ ორი ქულით

**ჩვენს** წყალმოთხილამურეებს საკავშირო პირველობაზე ამდენი ჯილდო ჯერ არ მოუპოვებიათ. ამას წინათ ანდროპოვში გამართულ პროფკავშირული სპორტული საზოგადოების წევრთა პირველობაზე ჩვენი რესპუბლიკის ბავშვთა და მოზარდთა წყალსათხილამურო სპორტსკოლის ფოთელმა აღსაზრდელებმა ხათუნა კორკელიამ და გიორგი სურგულაძემ ორი ოქროსა და ხუთი ვერცხლის მედალი მიიღეს — გაიმარჯვეს ტრამპლინიდან ხტო-



მაში, მეორე ადგილები დაიკავეს ფიგურულ სრიალში, სლალომში და მრავალჭიდში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ხათუნა კორკელია მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩა მრავალჭიდში გამარჯვებულ ევროპის 1986 წლის ჩემპიონს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, დუბნელ ნ. ივანოვას.

ეძღვნება ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს

# სპორტული, სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

1917 1987 ВСЕСОЮЗНЫЕ ИГРЫ УЧАЩИХСЯ СПОРТИВНЫХ ШКОЛ

**ასეთი** რამ იშვიათად ხდება მოკრივეთა ტურნირზე — საქართველოს ჭაბუკებმა 13 მედალი მოიპოვეს სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებაში. სენსაცია იყო ისიც, რომ ჩვენმა ნაკრებმა ჯერ კიდევ ასპარეზობის ნახევარფინალში გაიბალდა გუნდური პირველი ადგილი. ნორჩმა სპორტსმენებმა დაგვარწმუნეს, რომ ეს სახეობა რესპუბლიკაში ჭეშმარიტად აღმავლობას განიცდის. ახლა მთავარია წარმატებამ არ გაგვაყოყოჩოს და პასუხისმგებლობის გრძნობა არ მოგვიდუნდეს. მიღწეულის გადასახედიდან ახალი სპორტული მწვერვალებისკენ უნდა ავიღოთ გეზი. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

იხ. მე-2 გვ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშები

## ფინალისტები გამოვლინდნენ

**საფეხბურთო** ტურნირში გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ საქართველოს ნაკრები და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს სამხრეთი ზონის გუნდი. საქართველოს ფეხბურთელებმა მეტოქე დაამარცხეს ანგარიშით 4:1.

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე უკრაინის გუნდმა სძლია რსფსრ-ს ნაკრებს — 3:0.

ნახევარფინალური ეტაპის შეხვედრათა შემდეგ გამოვლინდნენ ფინალისტები, აგრეთვე, ისინი, ვინც ერთმანეთს უნდა შეხვდნენ მესამე ადგილისთვის.

დღეს გ. დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონზე დილის 10 საათზე მესამე ადგილისთვის ითამაშებენ რსფსრ-ისა და სამხრეთის ზონის განათლების სამინისტროს გუნდები.

**დღესვე ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ფინალში ჩემპიონის წოდებისთვის იბრძოლებენ საქართველოს ნაკრები და უკრაინის განათლების სამინისტროს გუნდი. დასაწყისი 18 საათზე.**



## ორი მიკრო-მატჩი

**კლასიკური** სტილის მოჭიდავეთა ტურნირის პირველ წრეში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეთა შორის თავისებური მიკრო-მატჩი გაიმართა. ამ შეხვედრების შედეგების მიხედვით რაიმე დასკვნის გამოტანა ჯერ ძნელია. მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ეს მიკრო-მატჩი მშრალი ანგარიშით (5:0) მოიგეს.

56 კგ წონით კატეგორიაში ავთანდილ ხეცურიანს რადიკ ალმიაშევთან გამარჯვებისთვის 3 წუთი და 10 წამი დასჭირდა. ნუგზარ ალიხანაშვილმა (69 კგ) წუთნახევარში დაამარცხა ანდრეი ტკაჩოვი. უფრო მეტხანს (3 წუთი და 15 წამი) გასძლო სარბიელზე მიხეილ ზახარკინმა, მაგრამ ბოლოს მაინც დათმო ორთაბრძოლა ოლეგ ქვაჩაკიძესთან (74 კგ), ზაზა მაისურაძე (80 კგ) ვლადიმერ კონსკიხთან შეხვედრაში ქულებით გამარჯვებას (7:1) დასჯერდა. ვიტალი პოლიტაევი (87 კგ) მსაჯებმა პასიურობისათვის ხუთნახევარი წუთის შემდეგ მოხსნეს და წმინდა გამარჯვება რუსლან ზარანდიას ჩაეთვალა. ეს, რაც შეეხება საქართველო — რსფსრ-ს მიკრო-მატჩს.

კიდევ ერთი ასეთი მიკრო-შეჯიბრება მოეწყო საქართველოსა და უკრაინის მოჭიდავეთა შორის. აქაც გამარჯვება ჩვენმა ათლეტებმა მოიპოვეს. დავით როხვაძემ (42 კგ) ქულებით დაამარცხა გრიგოლ კამიშენკო (12:3), დიმიტრი გულაძემ (48 კგ) ასევე ქულებით აჯობა იგორ ოზერიანსკის, ელდარ ფუხაევმა კი ალექსანდრე ბობრიშევთან ბრძოლა წუთსა და 46 წამში დაამთავრა.

პირველ წრეში წმინდა გამარჯვება მოიპოვა (4 წუთსა და 30 წამში) ვეფხია ანთიძემაც. მან სამხრეთის ზონის წარმომადგენელი სერგეი კუზმინი დაამარცხა.

## მხოლოდ მეხუთე

**სამტრედიაში** დამთავრდა მოჭადრაკეთა ტურნირი. როგორც იცით, საქართველოს მოზარდმა მოჭადრაკეებმა 11,5 ქულით V ადგილი დაიკავეს. ახლა ძნელია ასე უცებ, ცხელ გულზე შეაფასო ამ დიდ ფორუმზე ჩვენი გოგონებისა და ბიჭების გამოსვლა. რამდენიმე ხანში ჩვენ ისევ დავუბრუნდებით ამ საკითხს და სპეციალისტთა მეშვეობით გავაანალიზებთ ტურნირის შედეგებს.

ბოლო ტურში ქართველმა ჭაბუკებმა ყაიმით (3:3) დაამთავრეს შეხვედრა საკავშირო პროფკავშირთა II გუნდთან. გაიმარჯვეს რომან სიჭინავამ (მან 7 შესაძლებლიდან 5 ქულა მოაგროვა და I დაფაზე II-III ადგილები გაიყო) და დავით უთმელიძემ. აკაკი იაშვილი და შოთა კუჭუხიძე დაუზავდნენ მეტოქეებს, იოსებ კვირიაშვილი და გივი ქორიძე დამარცხდნენ. სხვათა შორის, უთმელიძემ და ქორიძემ თავიანთ დაფებზე 7-7 შესაძლებლიდან 4,5-4,5 ქულა მოაგროვეს. უთმელიძე IV ადგილზე გავიდა, ქორიძე — III.

ბიჭების ტურნირში 20 ქულით პროფკავშირების I გუნდმა გაიმარჯვა. შემდეგ მოდიან: უკრაინა — 16 ქულა, რსფსრ — 15, „უროჟაი“ — 12,5, საქართველო — 11,5 პროფკავშირების II გუნდი — 11.

გოგონათა შორის ადგილები ასე განაწილდა: პროფკავშირების I, საკავშირო განათლების სამინისტრო (სამხრეთი ზონა) — 9-9 (კოეფიციენტთა ცხრილით გამარჯვება პროფკავშირების I გუნდს მიეკუთვნა), საკავშირო განათლების სამინისტრო (დასავლეთი ზონა) — 8, პროფკავშირების II გუნდი, რსფსრ — 7-7, უკრაინა — 5.

## ჩემპიონია რსფსრ-ის ნაკრები

**სოხუმში** დამთავრდა ფრენბურთელ გოგონათა ტურნირი. როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ნაკრებმა VI ადგილი დაიკავა.

ფინალში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ პროფკავშირების I და რუსეთის ფედერაციის გუნდები. ქვეჯგუფში მათი პაექრობა ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა — 3:0. რსფსრ-ის ფრენბურთელებმა ფინალშიც იმარჯვეს (3:1) და ოქროს მედლები დაისაკუთრეს. ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლაში უკრაინელმა სპორტსმენებმა სძლიეს პროფკავშირების მეორე ნაკრებს — 3:0.

„ლელოს“ კორესპონდენტები როდიონ ქორქია, ოთარ ნოზაძე, ვაჟა დანელია, დავით პელიძე, გიორგი ჩოჩიშვილი, მაია მესხია შეჯიბრების ადგილებიდან გვატყობინებენ (ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები).

## ჭრიდ

კვარცხლბეკი

**მძლეოსნობა**

**მრავალჭიდი № 9 (60 მ + სიმაღლე + სიგრძე).** 1. ტ. კოსენკო (განათლების სამინისტრო, 7,2+195+6,47) — 2302 ქულა; 2. ა. ნიკიფოროვი („დინამო“) — 1974; 3. ს. სოლოვიოვი (განათლების სამინისტრო) — 1935; 4. ო. ზაპოროჟეცი (საქართველო, 7,5+190+5,75) — 1870... 7. ს. კლიუსოვი (საქართველო) — 1666.

**მრავალჭიდი № 10 (სიგრძე + სიმაღლე + 60 მ.)** 1. ვ. დულქევიჩი (პროფკავშირები I, 661+187+7,1) — 2222 ქულა; **2. ი. ვორონოვი (საქართველო, 661+175+7,1) —1111**; 3. ა. შერშოვი („დინამო“, 633+186+7,2) — 1110 ქულა.

## ციტატა

**საქართველოს** საუკეთესო სპორტული ბაზები მასპინძლობენ სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებს. „სოვეტსკი სპორტი“ 1 აგვისტოს ნომერში აქვეყნებს გაზეთის საკუთარი კორესპონდენტის საუბარს თამაშების მთავარ მდივან **ე. სიროტკინთან.**

გთავაზობთ ციტატას წერილიდან „სტუმრად საქართველოში“:

**„გადამეტებული არ იქნებოდა იმის თქმა, რომ ამ სტარტების ორბიტაში მთელი საქართველოა მოქცეული. თამაშებით ცოცხლობს არა მარტო ის ცხრა ქალაქი, სადაც ასპარეზობები მიმდინარეობს, არამედ რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სოფლებში მცხოვრები სპორტის გულშემატკივრებიც. მასპინძლებმა უკვე მიიღეს 25-დან 20 სახეობის წარმომადგენლები. მასპინძელთა სტუმართმოყვარეობისა და ყველა სამსახურის კარგი მუშაობის წყალობით თამაშები სადღესასწაულო ვითარებაში მიმდინარეობს“.**

## მთავარი ბრძოლები წინაა

**ასეა** მუდამ: რაც უფრო უახლოვდება სპორტული ასპარეზობა დასასრულს, მით უფრო დიდ ფასობს ყოველი მატჩის შედეგი, განუზომლად იზრდება ყოველი ქულის მნიშვნელობა. ეს კარგად იციან საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მწვრთნელებმა და ხელბურთელებმა, რომლებმაც მიზნად პირველ ოთხეულში მოხვედრა დაისახეს. ცხადია, ეს ძნელზე ძნელი საქმე იყო, ვინაიდან ამისათვის წინასწარ ტურნირში (ჩვენი ბიჭები „ბ“ ქვეჯგუფში თამაშობენ) 5 კოლექტივს შორის მეორე ადგილი მაინც უნდა დაეკავებინათ. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ორი გუნდი — რსფსრ-ის განათლების სამინისტროსა და პროფკავშირების პირველი ნაკრებები საკმაოდ ძლიერი კოლექტივები არიან, პერსპექტივა არც ისე საიმედო იყო.

მკითხველებმა უკვე იციან, რომ სასტარტო მატჩში რსფსრ-ის ძლიერ გუნდთან საქართველოს ხელბურთელებმა ფრეს მიაღწიეს (15:15), მეორე შეხვედრაში გატეხეს „უროჟაის“ გუნდის მედგარი წინააღმდეგობა (30:26), მესამე ტურში კი თავიანთ მთავარ მეტოქეს — პროფკავშირთა პირველ გუნდს შეხვდნენ. შედეგი (22:22) წინა ნომერში გამცნეთ. ახლა უფრო დაწვრილებით ამ მეტად პრინციპულ მატჩზე, რომლის წინ მეტოქე ერთი ქულით გვისწრებდა (მან ორივე მატჩი მოიგო). მასპინძლები იოლად დაწინაურდნენ — 4:1, 6:3. მეტოქე, ცხადია, ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებდა და მეოცე წუთისთვის გაქვითა კიდეც ანგარიში — 8:8. ტაიმი ჩვენმა ნაკრებმა ერთი ბურთის სხვაობით მოიგო — 12:11.

მეორე ტაიმში წინ ძირითადად სტუმრები იყვნენ. ერთხანს 4 ბურთითაც კი დაწინაურდნენ, მაგრამ მამუკა შენგელიამ ფინალურ სასტვენამდე ხუთი წუთით ადრე გაქვითა ანგარიში — 20:20. დარჩენილ დროში მეტოქეებმა ორ-ორი ბურთი „გაცვალეს“ და თითო ქულა მიუმატეს თავიანთ მარაგს.



გუშინ „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში გაიმართა წინასწარი ტურნირის უკანასკნელი სამი მატჩი. აი, მათი შედეგები: რსფსრ-ის განათლების სამინისტრო — პროფკავშირები I — 19:17 (13:10), საბჭოთა არმია — პროფკავშირები II — 18:24 (8:12), საქართველო — სამხრეთი ზონა — 32:21 (12:8).

ამრიგად, ფინალური ოთხეული ასე დაწყვილდა: დასავლეთი ზონა — საქართველო და უკრაინის განათლების სამინისტრო — რსფსრ-ის განათლების სამინისტრო.

ეს შეხვედრები გაიმართება 3 აგვისტოს. გამარჯვებული გუნდები 4 აგვისტოს ითამაშებენ ჩემპიონის გამოსავლენად, დამარცხებულები კი ამავე დღეს მესამე ადგილისათვის იბრძოლებენ.

## ბოლო ადგილზე

**გლდანის** სპორტულ კომპლექსში წინასწარი შეხვედრები დაამთავრეს ხელბურთელმა გოგონებმა. „ა“ ქვეჯგუფში პროფკავშირების პირველმა ნაკრებმა ყველა მეტოქე დაამარცხა და I ადგილი დაიკავა. 4 ქულით მეორე ადგილზეა რსფსრ-ის გუნდი. მათთან ერთად „ბ“ ქვეჯგუფიდან ფინალურ ოთხეულში გავიდა უკრაინის ძლიერი გუნდი და პროფკავშირების მეორე ნაკრები. დღეს ერთმანეთს შეხვდებიან პროფკავშირების პირველი და მეორე ნაკრები გუნდები, უკრაინისა და რსფსრ-ის ხელბურთელები; მეხუთე ადგილისათვის იბრძოლებენ „უროჟაისა“ და დასავლეთი ზონის კოლექტივები. უკანასკნელმა ამის უფლება ბოლო ტურში საქართველოს ნაკრებთან გამარჯვების შედეგად მოიპოვა. ჩვენმა გოგონებმა ძალიან სუსტად ჩაატარეს ტურნირი და ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდნენ.

● თამაშები ფოტოილუსტრაციებში ●









სურათებზე: თბილისი — მთავარ პრესცენტრში; თელავი — მაგიდის ჩოგბურთელთა ასპარეზობა; ქუთაისი — სარბიელზე არიან მოკრივეები.

VII

## თვის მონაგარი

# თვალსაჩინო ნადავლი

(დასასრული)

სინქრონულ ცურვაში აქამდე ქვეყნის ჩემპიონი არ გვყოლია, ახლა კი, კიევში გამართულ საკავშირო პირველობაზე თბილისელმა ქრისტინა ფალასანიძემ ორი ოქროს მედალი მოიპოვა. იგი ჯერ ლენინგრადელ ელენა დოლუენკოსთან ერთად წყვილთა გამოსვლაში გახდა ჩემპიონი, შემდეგ კი საკავშირო ნაკრების წევრებთან ერთად — ჯგუფურ ვარჯიშშიც.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ზბესიკ გოცირიძეც. მან ბრიანსკში გამართულ მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატში ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში.

აღსანიშნავია, რომ სპრინტში ჩვენს მძლეოსნებს გოცირიძემდე სსრ კავშირის ჩემპიონი არ ჰყოლიათ.

ტალინში გამართულ ველოსიპედისტთა საკავშირო ჩემპიონატში კარგად გამოვიდა თბილისელი ოლეგ კორნიენკო. ოლეგმა თავის არმიელ თანაგუნდელთან ერთად 4 კილომეტრზე წყვილთა გამოდევნებით რბოლაში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ესტონეთის დედაქალაქში ამ შეჯიბრების პარალელურად გაიმართა ველოსპორტში „ტალინის დიდი პრიზის" გათამაშება. თბილისელმა ოთარ მჭედლიშვილმა სპრინტერთა ასპარეზობაში მესამე ადგილი დაიკავა.

ამ შეჯიბრებების შემდეგ მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის ჩემპიონატი გიტში 1000 მეტრზე და სპრინტერთა საკავშირო ასპარეზობა. სპრინტერთა შეჯიბრებაში მჭედლიშვილმა მეორე ადგილი დაიკავა.

ოც წლამდე ასაკის კალათბურთელ გოგონათა საერთაშორისო ტურნირს ბულგარეთის ქალაქი რუსე მასპინძლობდა. აქ ყველას აჯობა საბჭოთა ნაკრებმა, რომლის ღირსებას თბილისელი მედეა მხეიძეც იცავდა. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კალათბურთელებმა ფინალური შეხვედრა ბულგარელებს 40 ქულის სხვაობით მოუგეს და მედეა მხეიძემ სწორედ ამდენი ქულა შესძინა გუნდს.

უნგრეთში გამართულ მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირში ყველას თბილისელმა დიდოსტატმა ელენა ახმილოვსკაიამ აჯობა. მან 14 შესაძლებლიდან 9 ქულა მოაგროვა. II-III ადგილები გარდაბნელმა ქეთევან კახიანმა გაიყო — 7,5 ქულა და საერთაშორისო ოსტატის პირველი ბალიც დაიმსახურა.

თბილისელი დიდოსტატი თამაზ გიორგაძე, მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის მოჭადრაკე ვაუთა გუნდის მწვრთნელია და მოცლა არა აქვს, მაინც ახერხებს სხვადასხვა შეჯიბრებაში გამოსვლას. ივლისში იგი კოლუმბიის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. აქ იგი ბოლო ტურამდე ლიდერობდა, მაგრამ უკანასკნელ ტურში დამარცხდა და III ადგილი დაიკავა.

დიდი პოპულარობით სარგებლობს სპორტულ ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ტურნირი „მონკადა", რომელიც კუბაში ტარდება. ამ შეჯიბრებაში ჩვენი ქვეყნის სპორტულ ღირსებას მონაცვლეობით სხვადასხვა რესპუბლიკის ტანმოვარჯიშეები იცავენ. წლევანდელ ასპარეზობაში, რომელიც მეთხუთმეტედ ჩატარდა, აშშ-ის, გდრ-ის, უნგრეთის, კოლუმბიისა და კუბის გუნდებთან ერთად საქართველოს წარმომადგენლები გამოდიოდნენ. კარგად იასპარეზეს თბილისელებმა: ლევან სისაურმა, ანაიდა ლეონტიევა-ბაბასიანმა და ირმა სირაძემ. ლევანმა ტაიჭზე გაიმარჯვა, ორძელზე ვარჯიშში კი მესამე იყო. ანაიდამ ყველას აჯობა ბჯენით ხტომებში, ირმამ მესამე ადგილი დაიკავა დვირზე ასპარეზობაში.

მოსკოვში რვაწლიანი და უფროსი ასაკის ცხენებით დაბრკოლებათა გადალახვაში გუდაუთელმა ხარლამ სიმონიამ მეორე ადგილი დაიკავა და საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა.

თბილისელმა ძიუდოისტმა ნანა ასრათაშვილმა სხვა წარმატებებს კიდევ რომ ვეღარ მიაღწიოს, სპორტის ამ სახეობის ისტორიაში მისი სახელი სამუდამოდ დარჩება. იგი ჩვენი რესპუბლიკის პირველი წარმომადგენელია, რომელმაც ქალთა საკავშირო ჩემპიონატში წარმატებას მიაღწია — საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი გახდა.

ქუთაისელმა აკაკი კიბორძალიძემ თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ძიუდოში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია. იგი ჩემპიონია მძიმე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში. ტურნირის ჩემპიონი გახდა გორელი კობა კურტანიძეც (ქვემძიმე). 71 კგ წონით კატეგორიაში მეორე იყო ასევე გორელი გია თენაძე, ხოლო თბილისელმა თამაზ ნამგალაურმა მესამე ადგილი დაიკავა.

და ბოლოს, სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელთა გამოსვლის შესახებ. ეს შეჯიბრება, მართალია, 9 აგვისტოს დასრულდება, მაგრამ აქ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა 31 ივლისამდე 34 მედალი (მათ შორის 12 ოქროს, 9 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს) მოიპოვეს. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ჩვენმა მოკრივეებმა, რომლებმაც ხუთი პირველი და ოთხოთხი მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს.



გიორგი ხინჩიკაშვილი.



გია ივანაშვილი.



აკაკი გაბედავა.

## „მეგობრობის" ხალიჩაზე

ბულგარეთის ქალაქ ხასკოვში ყოველწლიურად იმართება თავისუფალი სტილის მოჭიდავე ჭაბუკთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი სახელწოდებით „მეგობრობა", რომელშიც სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენები მონაწილეობენ. ბოლო ხანს ამ ტურნირზე წარმატებით გამოდიან ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ფალავნები, კერძოდ ქართველი მოჭიდავეები. მაგალითად, შარშან ტურნირის გამარჯვებულის სახელი გორელმა გ. ხინჩიკაშვილმა მოიპოვა, გიორგი წელსაც გამოვიდა ამ ტრადიციულ ასპარეზობაზე და არც ამჯერად გაუწბილებია გულშემატკივრები. მას ბადალი არ ჰყავდა 63 კგ წონით კატეგორიაში — ოთხივე შეხვედრა დიდი უპირატესობით მოიგო, ოქროს მედალი მიიღო და საუკეთესო ტექნიკისათვის სპეციალური პრიზიც დაიმსახურა. ხინჩიკაშვილთან ერთად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე დადგა კიდევ ორი ქართველი მოჭიდავე: გია ივანაშვილი (68) და აკაკი გაბედავა (81).

## სსრ კავშირის ჩემპიონატი 50

გთავაზობთ სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის მე-19 ტურის სტატისტიკურ მონაცემებს:

**„დინამო" (მოსკოვი) — „დინამო" (კიევი) 0:0.**

გააფრთხილეს მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელი ბულანოვი.

დუბლიორები — 0:0.

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: ვ. მიმინოშვილი, შ. ხანიაშვილი (ორივე — თბილისი), ჯ. წერეთელი (რუსთავი).

**„დინამო" (მინსკი) — „არარატი" 3:1 (2:0).** მინსკელთაგან ბურთები გაიტანეს შიროკიმ, ზიგმანტოვიჩმა (11-მეტრიანი), შალიმომ, ხოლო სტუმართაგან — ვერანიანმა.

გააფრთხილეს ერევნელი აივაზიანი და მინსკელი დერკაჩი.

დუბლიორები — 0:1.

**„ჟალგირისი" — „ნეფთჩი" 1:1 (1:0).** გოლები: პანკრატიევი („ჟალგირისი"), აბდულაევი („ნეფთჩი").

გააფრთხილეს ბაქოელი ფეხბურთელები აბდულაევი და ალხასოვი.

დუბლიორები — 7:0.

**„შახტიორი" — „მეტალისტი" 3:1 (1:0).** გოლები: იურჩენკო, დრაგუნოვი (11-მეტრიანი), გერასიმეცი („შახტიორი"), მალიშენკო („მეტალისტი").

დუბლიორები — 2:1.

**„დნეპრი" — „ტორპედო" 1:0 (1:0).** ბურთი გაიტანა შახოვმა.

გააფრთხილეს დნეპროპეტროვსკელი ფეხბურთელები ვიშნევსკი და ბაშკიროვი.

დუბლიორები — 1:0.

● **ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის ჯერჯერობით ლიდერობენ ს. ნარბეკოვაძე („ჟალგირისი") და ო. პროტასოვი („დნეპრი"), თითოეულმა მათგანმა 10-10 ბურთი გაიტანა. ლიდერებს ერთი გატანილი გოლით ჩამორჩება სპარტაკელი ფ. ჩერენკოვი.

● **ალმა-ათის** „ქაირათმა" თბილისის „დინამოსთან" მოგებით (3:0) მიმდინარე ჩემპიონატში პირველი ქულა ჩაიწერა „დიდი ანგარიშით გამარჯვებისთვის" პრიზის მოსაპოვებლად.

● **თერთმეტი** ტურია ჩემპიონატში დაუმარცხებლად იბრძვის დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". გუნდმა 11 მატჩიდან რვა მოიგო.

### გათამაშების ცხრილი

**დუბლიორთა შემადგენლობანი**

მდგომარეობა 2 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი" | 19 | 13 | 3 | 3 | 35-15 | 29 |
| „სპარტაკი" | 19 | 13 | 1 | 5 | 50-23 | 27 |
| „ჟალგირისი" | 18 | 7 | 10 | 1 | 30-10 | 24 |
| ცსკა | 19 | 9 | 2 | 8 | 31-32 | 20 |
| „შახტიორი" | 18 | 7 | 6 | 5 | 17-14 | 20 |
| „დინამო" კ. | 16 | 8 | 3 | 5 | 29-23 | 19 |
| „დინამო" მნ. | 19 | 7 | 5 | 7 | 31-23 | 19 |
| „ქაირათი" | 19 | 7 | 5 | 7 | 27-28 | 19 |
| „ნეფთჩი" | 19 | 7 | 5 | 7 | 17-31 | 19 |
| „ზენიტი" | 20 | 6 | 6 | 8 | 28-34 | 18 |
| „დინამო" მ. | 17 | 7 | 3 | 7 | 18-17 | 17 |
| „ტორპედო" | 20 | 5 | 7 | 8 | 13-20 | 17 |
| „გურია" | 18 | 5 | 3 | 10 | 18-35 | 1[illegible] |
| „დინამო" თბ. | 18 | 4 | 5 | 9 | 24-32 | 13 |
| „მეტალისტი" | 19 | 4 | 4 | 11 | 16-28 | [illegible] |
| „არარატი" | 18 | 3 | 4 | 11 | 21-35 | 1[illegible] |

# მსაჯთა რეესტრი

**აგვისტოში** გაიმართება საკავშირო შეჯიბრებათა მატჩები, თბილისის „დინამოს", ლანჩხუთის „გურიისა" და სოხუმის „დინამოს" მონაწილეობით. გთავაზობთ ამ შეხვედრათა არბიტრების ვინაობას:

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**3 აგვისტო. „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (კიევი).** მსაჯი ა. ბარიშნიკოვი (მოსკოვი).

**20 აგვისტო. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „გურია" (ლანჩხუთი).** ე. ალექსანდროვი (იაროსლავლი). **„შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (თბილისი).** ვ. ბუტენკო (მოსკოვი).

**24 აგვისტო. „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო" (თბილისი).** ა. სპირინი (მოსკოვი). **„შახტიორი" (დონეცკი) — „გურია" (ლანჩხუთი).** ა. მილიაუსკასი (ალიტუსი).

**სსრ კავშირის თასი**

**4 აგვისტო. „ზენიტი" (ლენინგრადი) — „დინამო" (თბილისი).** ვ. ჟუკი (მინსკი). **„მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (სოხუმი).** ე. ალექსანდროვი (იაროსლავლი).

**15 აგვისტო. „დინამო" (თბილისი) — „ზენიტი" (ლენინგრადი).** ვ. აზგოლცი (ალმა-ათა). **„დინამო" (სოხუმი) — „მეტალისტი" (ხარკოვი).** გ. გალიკოვი (ლენინგრადი).

**ფეხბურთის ფედერაციის თასი**

**29 აგვისტო. „გურია" (ლანჩხუთი) — „დინამო" (თბილისი).** ვ. ზვიაგინცევი (დონეცკი).

თბილისელი საერთაშორისო კლასის არბიტრი ვ. მიმინოშვილი 15 აგვისტოს იმსაჯებს სსრ კავშირის თასის მატჩს კემეროვოს „კუზბასსა" და ბაქოს „ნეფთჩის" შორის, ხოლო 24 აგვისტოს — საკავშირო ჩემპიონატის მატჩს მინსკის „დინამოსა" და ხარკოვის „მეტალისტს" შორის.

**საქართველოს რადიო 4 აგვისტონ გადასცემს საკავშირო თასის ორი მატჩის რეპორტაჟს. 21 საათზე მოვუსმენთ ლენინგრადის „ზენიტისა" და თბილისის „დინამოს" თამაშის მეორე ტაიმის მსვლელობას, ხოლო 21 საათსა და 50 წუთზე — ხარკოვის „მეტალისტისა" და სოხუმის „დინამოს" მეორე ტაიმის რეპორტაჟს.**

## I ლიგა

**გუშინ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 24-ე ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ტიუმენის „გეოლოგი". ანგარიშით 1:0 გაიმარჯვა „გეოლოგმა".

ბათუმში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი". მატჩი მოიგეს ბათუმელმა ფეხბურთელებმა — 2:0.

ინდივიდუალური შრომა, კოოპერატივი. რა და როგორ?

# მზად ვართ გემსახუროთ

**უკანასკნელ** წლებში თბილისში ფართოდ გაიშალა სასკოლო აუზების (დახურული, ტიპიური) მშენებლობა. დღეს მათმა რიცხვმა 23 მიაღწია, მაგრამ აქედან მხოლოდ 6 მუშაობს.

აუზების მშენებლობას უპასუხისმგებლოდ მოეკიდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მე-13 ტრესტი (მმართველი კ. მხეიძე), რომელმაც ბაზები დაუმთავრებელი ან მთელი რიგი ხარვეზებით ჩააბარა.

უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს მიმღები კომისიის წევრებმაც და თბილისის რაიონების ალმასკომების წარმომადგენლებმაც, რომლებმაც ეს საცურაო აუზები ჩაიბარეს. ამ უპასუხისმგებლობის შედეგია ის, რომ 26 კომისრის რაიონში აშენებული 9 სასკოლო აუზიდან დღეს მხოლოდ ორი მუშაობს, საბურთალოს რაიონის ორი და საქარხნო რაიონის სამი აუზიდან — არცერთი, გლდანის რაიონში მდებარე ოთხი აუზიდან კი მხოლოდ ერთი.

რაიალმასკომების პასუხისმგებელი მუშაკები აცხადებენ, რომ 1 სექტემბრისთვის ყველა სასკოლო აუზი გარემონტდება და მათი კარი ფართოდ გაიღება ცურვის მოყვარულთათვის. იმედი დავიტოვოთ, რომ ასეც იქნება, მაგრამ დღეს სხვა საკითხზე გვინდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

„ლელომ" ამას წინათ კარგი წინადადება შემოგვთავაზა — სასკოლო აუზებში კოოპერატივების შექმნა გვირჩია: საგაზეთო პუბლიკაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია და მას პირველი გამოეხმაურა საქარხნო რაიონის ალმასკომი. ახლა ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის დირექტორ ბ. მირველაშვილის უშუალო აქტიურობით და რაიონის ალმასკომის დახმარებით 182-ე საშუალო სკოლის საცურაო აუზში კოოპერატივი იქმნება. კოოპერატივის ჩამოსაყალიბებლად მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს 24-ე საშუალო სკოლის აუზშიც.

უნდა ითქვას, რომ ამ საქმით 26 კომისრისა და გლდანის რაიონების ალმასკომებიც დაინტერესდნენ, მაგრამ განცხადებები ჯერ არ შემოუტანიათ.

გვინდა დაინტერესებულ პირებს შევახსენოთ, რომ საქართველოს სპორტსახკომთან ჩამოყალიბდა სპეციალისტთა ჯგუფი, რომელიც მზადაა პრაქტიკული დახმარება გაუწიოს ყველას, ვისაც საცურაო აუზებში კოოპერატივები სურს შექმნას. ამ ჯგუფისაგან შეგიძლიათ მიიღოთ როგორც საორგანიზაციო, ისე სხვა სახის კონსულტაციები. ჯგუფი მზადაა პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს კოოპერატივის შექმნის მსურველთ.

დაწვრილებითი ცნობები შეგიძლიათ მიიღოთ რესპუბლიკის № 3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლაშიც (თბილისი, ჭავჭავაძის პროსპექტი № 49-ბ, ტელ. 23-17-13) და თბილისის ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში (ტელ. 99-82-31).

**ბორის ბაქანოვი,**
რესპუბლიკის № 3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების სკოლის დირექტორი.

# გზა რომში მიდის...

დასასრული

და ევლო. ნიჭის ერთბაშად გამობრწყინება იშვიათი ხვედრია, მათ წინაშე კი, ვისაც დიდი შრომითა და წვალებით უწევს გზის გაკაფვა, ათასი (ზოგჯერ ხელოვნური) დაბრკოლება აღიმართება ხოლმე.

მართლაც დიდი სიჯიუტე და შეუპოვრობა უნდა ჰქონოდათ ბესიკ გოცირიძესა და მის მწვრთნელს ევგენი გაგუას, რომ ასეთ პირობებში წლების მანძილზე მათს მოთმინებას წყალი არ შესდგომოდა და კვლავ ძველი ენერგიით ეკეთებინათ თავიანთი ძნელი საქმე.

სხვებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მძლეოსანთა ნაკრების მწვრთნელები, განსაკუთრებით სპრინტის სპეციალისტები, ერთგვარად კონსერვატორი ხალხია. ამ სიტყვას იმიტომ ვხმარობთ, რომ ახალბედებს, თუნდაც ისინი მაღალ შედეგებს აჩვენებდნენ, ადვილად არ ულებენ მთავარი გუნდის კარს, სტაბილურობას, მორალურ სიმტკიცეს უმოწმებენ.

ბესიკ გოცირიძემ და მისმა დამრიგებელმა ბოლო, გენერალური შეტევა ბრიანსკში, საკავშირო ჩემპიონატის დროს განახორციელეს და დიდ წარმატებასაც მიაღწიეს, ქართველი სპრინტერი საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა 200 მეტრზე რბენაში — 20,83. ეს პირველი ოქროს მედალია, რომელიც ჩვენი რესპუბლიკის სპრინტერმა ვაჟმა მოიპოვა საკავშირო ჩემპიონატში. გადაილახა კიდევ ერთი მიჯნა.

ახლა კი მთავარ სათქმელზეც გადავიდეთ: ბესიკ გოცირიძე ქვეყნის ნაკრებშია და მაია აზარაშვილთან ერთად რომის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება. ქართველი მძლეოსნები პირველად გამოვლენ მსოფლიო ჩემპიონატის სარბიელზე. „თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა“, — გვითხრა ამ სიტყვებზე მათმა მწვრთნელმა ევგენი გაგუამ თბილისში დაბრუნებისას. სხვა მხრივ კი მათ ყველაფრით დაიმსახურეს ნაკრების წევრობა.

● **რას გულისხმობთ?**

ბესიკმა და აგრეთვე მაიამ შესარჩევ შეჯიბრებათა მთელი ციკლი გაიარეს. დაწესებული იყო ნორმატივები საკავშირო ნაკრების წევრებისთვის და წევრობის კანდიდატებისათვის. თითქმის ყველა პირადი მაჩვენებელი ორივე სპრინტერს რომის გზას უჩვენებს.

● **იქნებ კონკრეტულად გეთქვათ ამის შესახებ.**

— ავილოთ მაიას წლევანდელი საუკეთესო შედეგები 200-მეტრიან დისტანციაზე — 22,3; 22,52; 22,72; 22,90; 22,88. მიაქციეთ ყურადღება მის სტაბილურობას. ბესიკსაც საგულისხმო მიღწევები აქვს: მაგალითად, 10,00; 10,35 წამი 100-მეტრიან დისტანციაზე და 20,83 — ორასმეტრიანზე.

● **რატომ არ გამოვიდა მაია ზაგრებში, მსოფლიო უნივერსიადაზე, ან საკავშირო ჩემპიონატში?**

— წინასწარი გეგმით იქაც უნდა გამოსულიყო და იქაც. მაგრამ მდგომარეობა შეიცვალა და მან ორ „დაუგეგმავ“ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა, ევროპის თასის გათამაშების ფინალში და მატჩში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებთან. საკავშირო ნაკრების მწვრთნელებმა ჩათვალეს, რომ მისი გადაღლა რომის მსოფლიო ჩემპიონატის წინ არ ივარგებდა და ამიტომ დასვენების საშუალება მისცეს.

● **საკავშირო თასის მოგება და ჩემპიონატში გამარჯვება ერთ-ერთი ეტაპია სპორტსმენისათვის, რომელსაც გაცილებით მაღალი მიზანი აქვს დასახული. ბესიკ გოცირიძემ საკავშირო ჩემპიონატში აჩვენა შედეგი — 20,83 — მომზადების ეს დონე არ იძლევა საერთაშორისო ასპარეზზე თავის გამოჩენის საშუალებას...**

— პროგრესის იმედი რომ არ გვქონდეს, დღესვე დავანებებდით თავს ერთად მუშაობას. რასაკვირველია, არც მე და არც ნაკრების სხვა მწვრთნელები ილუზიებით თავს არ ვიტყუებთ, ამ დისტანციაზე რომში რაიმე წარმატების იმედი ნამდვილად არა გვაქვს. ბესიკი, ისევე როგორც მაია, ალბათ 4X100 მეტრზე ამანათრბენში გამოვა, სადაც წარმატების შესაძლებლობა უფრო დიდია.

რაც შეეხება სპორტსმენთა პერსპექტივებს, მართალი გითხრათ, ჩვენ უფრო დიდი გეგმები გვაქვს, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაა. მომზადების ციკლი სეულის ოლიმპიადისთვის უნდა დამთავრდეს.

● **თვითონ სპორტსმენები როგორ უყურებენ ამ პერსპექტივას?**

— მათ უკვე იგრძნეს, რომ ფეხი შედგეს იმ ძნელ, მაგრამ საპატიო გზაზე, რომელსაც სპორტსმენი ოლიმპიური სარბიელისკენ მიჰყავს. იმედი მაქვს, ამ მიზნისკენ ერთად ვივლით.

ორიოდე დღის წინ ევგენი გაგუა თავის ორ მოწაფესთან ერთად პოდოლსკში გაემგზავრა, სადაც ჩვენი ქვეყნის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატისათვის ემზადება. საერთოდ, ნაკრებში სპორტსმენთა მომზადებაზე სხვადასხვა სახეობის მიხედვით დანიშნული უფროსი მწვრთნელები აგებენ პასუხს, არც ისე ხშირად, მაგრამ ზოგჯერ, განსაკუთრებული წარმატებებისათვის, მთავარ გუნდში სპორტსმენთა პირად მწვრთნელებსაც იწვევენ.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**

## წელიწადი–მეოთხედი

**კლოვისი (აშშ).** ერთი კვირის წინ 15 წლის ამერიკელმა გოგონამ ჯანეტ ევანსმა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 8.22,44. ამჯერად ევანსმა ბედი სცადა 1500-მეტრიან დისტანციაზე და აშშ-ს ჩემპიონი გახდა, თანაც 1979 წლის 19 აგვისტოს თანამემამულის კიმ ლაინჰენის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკოოდი (16.04,49) გააუმჯობესა, ევანსის დროა 16.00,73.

**ათენი.** წყალბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში („ექვსი ეროვნების ტურნირი“) მეორე ტური გათამაშდა. საბჭოთა ნაკრებმა ამჯერად საფრანგეთის ეროვნული გუნდი დაამარცხა— 11:8 და 4 ქულით სათავეში ჩაუდგა გათამაშების ცხრილს. კფრ-ის წყალბურთელებმა ტურნირის მასპინძლებს მინიმალური უპირატესობით (9:8) აჯობეს. ფრედ (5:5) დამთავრდა იუგოსლავიისა და ესპანეთის გუნდების შეხვედრა.

## საჭადრაკო კომპოზიცია — ხელმძღვანელი ვაჟა ნეიძე

### საჭადრაკო ბელეტრისტიკა

**კომპოზიცია** საჭადრაკო ხელოვნების დარგიც არის და გონებამახვილური გასართობიც. მისი პოპულარიზაციის მიზნით ზოგჯერ ამოცანებისა და ეტიუდების შინაარსს ავტორები სახალისოდ შეთხზული ამბის სამოსელში ახვევენ და ისე სთავაზობენ დაინტერესებულ მკითხველს. გასულ საუკუნეში ასე შეიქმნა თავისებური საჭადრაკო ბელეტრისტიკა, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებიც არიან ავსტრიელი ეტიუდისტი ა. ვოტავა, უნგრელი პრობლემისტი დ. ბაქჩი, საბჭოთა ეტიუდისტები: პროფესორი ა. ვერბსტმანი, მწერალი-ფანტასტი ა. კაზანცევი და რასაკვირველია, გენიალური ს. ლოიდი. ეს უკანასკნელი თავის ნაწარმოებებს საგანგებოდ მოგონილი პატარა მოთხრობების თანხლებით ბეჭდავდა პრესაში. ზოგჯერ მისი საჭადრაკო ნოველების თანაავტორი იყო ამერიკული ჟურნალის „ჩეს მანსლის“ გამომცემელი დანიელ ფისკე. სწორედ მათი თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა ცნობილი მოთხრობა-კომპოზიცია „კარლოს XII ბენდერში“, პირველად იგი ზემოხსენებულ ჟურნალში დაიბეჭდა 1859 წელს და მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი მომხიბვლელობა.

1713 წელს შვეცია-თურქეთის ომის დროს შვედების მეფე კარლოს XII ბენდერის (ამჟამად მოლდავეთის სსრ-ში მდებარეობს) ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში იმყოფებოდა და თურმე სამხედრო მეცადინეობით და ჭადრაკის თამაშით იქცევდა თავს. ხშირად მისი მეტოქე იყო მინისტრი ა. გროტუზენი. სწორედ მასთან თამაშის დროს შექმნილა ამ დიაგრამაზე აღბეჭდილი პოზიცია.

**ს. ლოიდი, 1859**



**შამათი 3 სვლაში**

კარლოსმა, რომელსაც სვლა უნდა გაეკეთებინა (იგი თეთრებით თამაშობდა), დაინახა, რომ შავებს შამათი მოელოდათ 3 სვლაში: 1. ე:g3 კ:g3 2. მf3 და 3. g4X. ის იყო, ფიგურა უნდა გადაეადგილებინა, რომ ფანჯარაში თურქების ნასროლმა ტყვიამ გაიზუზუნა და დაფაზე მდგარი თეთრი მხედარი დაიმსხვრა. მეფემ აუღელვებლად განაგრძო პოზიციის შესწავლა და ახალი მხედარი მოითხოვა, მაგრამ უცებ შეყოვნდა, მისი დაბრუნება დაფაზე გადაიფიქრა და მეტოქეს სიცილით უთხრა: „მხედარი თქვენთვის მიბოძებია, უიმისოდაც გიცხადებთ შამათს ოთხ სვლაში!“ ამ სიტყვების თქმა მოასწრო და მეორე ტყვიამ h2 პაიკი იმსხვერპლა და ახალი ოთხსვლიანი ვარიანტიც (1. hg კe3 2. ეg4 კg5 3. ეh4+ კ:h4 4. g4X) გაქრა.

—„ვიპოვე—წამოიძახა ცოტა ხნის შემდეგ აღტაცებულმა კარლოსმა. — დიდი სიამოვნებით გაცნობებთ, რომ თქვენ 5 სვლაში შამათი გელით!“

გამოიცანით, როგორ დაასამათა კარლოსმა მინისტრის გვირგვინოსანი.

ლოიდის ამ ცნობილ მრავალაქტიან კომპოზიციას ერთი ტყუპისცალი აღმოჩნდა. სახელდობრ, ორმოცდაერთი წლის შემდეგ რიგის საჭადრაკო გამოცემაში „ბალტიშე შახბლეტერ“ დაიბეჭდა ადგილობრივი კომპოზიტორის ფ. ამელუნგის მიერ ნაპოვნი ვერსია. იმის შესახებ, თუ რა მოხდებოდა, ლოიდის ამოცანის საწყის პოზიციაში თურქების ტყვია მხედრის ნაცვლად ეტლს და პაიკს რომ მოხვედროდა. თურმე შავი მეფის დაშამათება ექვს სვლაში შეიძლებოდა.

**ფ. ამელუნგი, 1900**



**შამათი 6 სვლაში**

მოძებნეთ ეს ამოხსნა, ძვირფასო მეგობრებო!

### ამოხსნა

„ლელოს“ 19 ივლისის ნომერში დაიბეჭდა ავსტრიელი პრობლემისტის შტეფან ებერლეს ხუთსვლიანი ამოცანა (1958), რომლის ამოხსნაა: 1. მფg8! c4 2. კa8! c3 3. ლb1 c2 4. ლb7! ეg1 5. ლh7X.

ვაქვეყნებთ იმათ გვარებს, ვინც ყველაზე ადრე გამოგზავნა პასუხი: პ. ნიშნიანიძე (ახალი თერჯოლა, თერჯოლის რ), ა. მელქაძე (ქუთაისი), ნ. კახიძე (ბათუმი), ზ. კობახიძე (ნიკორწმინდა, ამბროლაურის რ.), რ. გურული (ქვ. საქარა, ზესტაფონის რ.), ვ. ბოჭორიშვილი (თერჯოლა), ს. ხუბუა (ცხაკაია), მ. ყაულაშვილი (რუსთავი).

## კვირიდან კვირამდე

**„იზვესტია“ — 1 აგვისტო.** „მარადონა არაფერს ამბობს“. ითამაშებს თუ არა მსოფლიოს № 1 ფეხბურთელი 8 აგვისტოს „უემბლიზე“?

**„სოციალისტიჩესკაია ინდუსტრია“ — 1 აგვისტო.** „ზენიტი“ პერიგეაშია“. ლენინგრადის „ზენიტი“ — კვლავ ყურადღების ცენტრში!

**„სოვეტსკი სპორტი“ — 26 ივლისი.** „ტურ დე ფრანსის“ გრძელი გზები“. ო. მაქსიმენკო მკითხველებს მოუთხრობს ველოსიპედისტთა ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეჯიბრების შესახებ. **29 ივლისი.** „მიხაკები ბიჭუნებისთვის“. რამდენიმე შტრიხი სსრ კავშირის ჭაბუკ ფეხბურთელთა ნაკრების პორტრეტისათვის. **31 ივლისი.** „ცვლილებები იქნება, მაგრამ როგორი?“ ვ. ტიტორენკოს ეს წერილი ქვეყნდება რუბრიკით „კალათბურთი გზაჯვარედინზე“. **1 აგვისტო.** „ფეხბურთის მუსიკის ქვეშ“. ინტერვიუ ცენტრალური ტელევიზიისა და საკავშირო რადიოს პოლიტიკურ მიმომხილველთან იგორ ფესუნენკოსთან. „მესაჭე, რომელმაც არ იცის ცურვა“. გაზეთის სტუმარია დენი კონერი, „ამერიკის“ ტრადიციული თასის წლევანდელი მფლობელი ამერიკელი აფროსანი.

## უფრო განიმტკიცა

**იუგოსლავიის** ქალაქ ტუზლაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირში ნანა იოსელიანმა ლიდერობა განიმტკიცა. მან მე-11 ტურში ყაიმით დაამთავრა პარტია გულნარა სახატოვასთან. ამ ტურამდე მეორე-მესამე ადგილებზე მყოფი ქეთევან არახამია და აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი) კი შესაბამისად სვეტლანა მატვეევასთან და რახინიკა კადილკართან დამარცხდნენ.

დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: სემიონოვა—ტრაბერტი — 1:0, ვერეცი — პეტროვიჩი —1:0, კანელა — ივანკა — 0,5:0,5, შილანი—არიასი — 1:0, ხოიბერგი—მაქსიმოვიჩი — 1:0, ნიკოლინი — ფრომეტა — 1:0.

11 ტურის შემდეგ ლიდერთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ნანა იოსელიანი — 9 ქულა, ქეთევან არახამია, აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი), ლიდია სემიონოვა — 8-8, გულნარა სახატოვა — 7, მარია ივანკა (უნგრეთი) —6,5.

## ფინიშის სწორზე

დასასრულს უახლოვდება იუგოსლავიის ქალაქ სმედერევსკა-პალანკაში მიმდინარე მოჭადრაკე ქალთა საზონათშორისო ტურნირი. მეთორმეტე ტურის შეხვედრებში ნონა გაფრინდაშვილმა დაამარცხა ქრისტინ ნიუბერგი (შვეცია) და ახლა იგი ნახევარი ქულით ჩამორჩება ლიდერს — მარტა ლიტინსკაიას, რომელმაც თავის მხრივ შავი ფიგურებით სძლია ვუ მინციანს (ჩინეთი).

ამ ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ლელჩუკი-ჩავესი – 1:0, არმასი-კლიმოვა — 0:1, მადლი-მარიჩი — 1:0, იზრაილოვა — ფენი — 1:0, გადაიდო ვოისკა-ლევიტინასა და არკელ-მარკოვიჩის პარტიები.

ამრიგად, 12 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: მარტა ლიტინსკაია — 9 ქულა, ნონა გაფრინდაშვილი, ნინა იზრაილოვა (აშშ), ალისა კლიმოვა (ჩეხოსლოვაკია) — 8,5-8,5, ალისა მარიჩი (იუგოსლავია), ილდიკო მადლი (უნგრეთი) 8-8.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 2 აგვისტო.** რიტმული ტანვარჯიში— **9.30 (1);** „სპორტლოტოს“ ტირაჟი — **10.15 (1);** სპიდვეი. ევროპის ჩემპიონატი (გადაცემა პოლონეთიდან) — **18.25 (2);** სსრ კავშირის თასის მერვედფინალური მატჩი ფეხბურთში: „შახტიორი“ (დონეცკი) —„სპარტაკი“ (მოსკოვი) — **21.00 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **0.10 (1).**

**3 აგვისტო.** დილის ტანვარჯიში— **9.00 (2);** საფეხბურთო მიმოხილვა — **10.40 (1) და 21.15 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 2 აგვისტო.** სპორტული სკოლების მოსწავლეთა საკავშირო თამაშებზე — **18.40** და **23.20;** საფეხბურთო მიმოხილვა — **0.10.**

**3 აგვისტო.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (კიევი) — **19.30.**

**საქართველოს რადიო. 2 აგვისტო.** რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — **14.30.**

**3 აგვისტო.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (კიევი) — **21.00.**

## „სპორტპროგნოზი“ — 32-ე ტირაჟი (8-10 აგვისტო)

| | | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (პირველი ლიგა)** | | | | | |
| 1. | „შინიკი“ (იაროსლავლი) — „როსტსელმაში“ (როსტოვი) | 8.VIII | 40 | 40 | 20 |
| 2. | „დაუგავა“ (რიგა) — „დინამო“ (სტავროპოლი) | 8.VIII | 70 | 10 | 20 |
| 3. | „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) | 8.VIII | 50 | 30 | 20 |
| 4. | ასკ „კარპატი“ (ლვოვი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) | 8.VIII | 40 | 40 | 20 |
| 5. | „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) | 8.VIII | 30 | 50 | 20 |
| 6. | „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) | 8.VIII | 50 | 40 | 10 |
| 7. | „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) | 8.VIII | 50 | 40 | 10 |
| 8. | „კუზბასი“ (კემეროვო) — „დინამო“ (ბათუმი) | 8.VIII | 80 | 10 | 10 |
| 9. | „პახთაქორი“ (ტაშკენტი) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) | 8.VIII | 80 | 10 | 10 |
| 10. | ასკ (როსტოვი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) | 8.VIII | 50 | 30 | 20 |
| **სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში (მეორე ლიგა, პირველი ზონა)** | | | | | |
| 11. | „საპფირი“ („სპარტაკი“, რიაზანი) — „დინამო“ (ვოლოგდა) | 10.VIII | 30 | 50 | 20 |
| 12. | „ისკრა“ (სმოლენსკი) — „ზორკი“ (კრასნოგორსკი) | 10.VIII | 60 | 20 | 20 |
| 13. | „ვოლჟანინი“ (კინეშმა) — „ტორპედო“ (ვლადიმირი) | 10.VIII | 40 | 40 | 20 |

რედაქტორი **თ. ბაჩიჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096 თბილისი, ლენინის ქ. 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:** სამდივნო — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, წერილების განყოფილება — 93-97-55, „შერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-37.

**ჩვენი ინდექსი** 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07053